

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

ცვლილების სახეობა:

- საქართველოს კონსტიტუციაში (საკონსტიტუციო) ცვლილებების შეტანის შესახებ
- რეფერენდუმის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

საკითხი - რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების განსაზღვრა პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების მფლობელი პირებისათვის. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით. რეფერენდუმის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების თანახმად, რეფერენდუმი არის საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად. რეფერენდუმი იმართება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე¹. ამავე კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე, მათ შორის საქართველოს კანონებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი საკითხებისა და პრინციპების შესახებ, ხოლო მე-5 მუხლის თანახმად კი - საქართველოში რეფერენდუმი მზადდება და იმართება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში - აგრეთვე აფხაზურ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ რეფერენდუმის საკითხის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტით - ხაზგასმულია მისი ჩატარების აუცილებლობა საქართველოს მთელს

¹ რაც შეეხება მეორე არგუმენტს, რეფერენდუმი ერთადერთი რამ არაა, რაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა ტარდებოდეს. ასევეა არჩევნებიც. ის ფაქტი, რომ არჩევნების ჩატარება ობიექტურად შეუძლებელია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ქართული არჩევნების ლეგიტიმურობას ავტომატურად არ აუქმებს.

საქართველოს პარლამენტის პარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. № 1-22/24
08.01.2024. ფურს. 33

ტერიტორიაზე, რასაც მისი ჩატარებისას აფხაზური ენის გამოყენების აუცილებლობაზეც უსვამს ხაზს მე-5 მუხლი, ხსენებულ პროცესში ჩართვის შესაძლებლობა არ აქვთ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს (პირებს, რომლებიც გარკვეულ მიზეზთა გამო არ იღებენ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტებს). რეფერენდუმის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც რეფერენდუმის გამართვის დღისათვის შეუსრულდა 18 წელი, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. მათ შორის არ გხვდება პირადობის ნეიტრალური მოწმობის და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების მფლობელი პირებიც, რომლებიც - საქართველოს იუსტიციის მინისტრის 11/10/2011 N133 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის გათვალისწინებით გაიცემა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე და ხსენებული დოკუმენტების მფლობელებს შესაძლოა სურდეთ - განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღებაც (პირობითად ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან კენჭისყრის შენობის განთავსებით)².

ცნობისათვის:

1. 1991 წლის 31 მარტის³ რეფერენდუმიდან 32 წელზე მეტი არის გასული. 32 წლის წლის წინ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა და მასში მონაწილეობა სამ მილიონზე

² საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს შესაძლებელია მიენიჭოთ პირადი ნომერი

³ <https://www.congress.gov/bill/102nd-congress/senate-resolution/94/text> სენატმა საგანგებო რეზოლუციით^[2] ლეგიტიმურად ცნო 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები, რაც წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობას

მეტმა მოქალაქემ მიიღო (რამენადაც ჩემთვის ცნობილია: ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 3,672,403; რეფერენდუმის მონაწილეთა რიცხვი – 3. 334. 286;). მაშინ ამომრჩეველთა უდიდესმა ნაწილმა (ამომრჩეველთა 98,9 %-მა) მათ შორის, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის „არა“ მომხრეთა რიცხვი – 16. 917 იყო;

2. 2003 წლის ნოემბრის რეფერენდუმით (გაიმართა საპარლამენტო არჩევნების პარალელურად) გადაწყდა პარლამენტის ამჟამინდელ 150 წევრამდე (წინანდელი 235-დან) შემცირება, რომელსაც მხარი ამომრჩეველთა 80%-ზე მეტმა დაუჭირა. რეფერენდუმის შედეგები ძალაში დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ გაუქმებულად ჩაითვალა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები;
3. სავარაუდოა, რომ პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელ პირთა რაოდენობა რამდენიმე ასეულს არ უნდა აღემატებოდეს (იუსტიციის სამინისტროდან საჯარო ინფორმაციის მიღებისთანავე დამატებით წარმოვადგენ მონაცემებს), შესაბამისად - მოცემული რაოდენობით ლოგიკურია, რომ ვერ დადგეს რეფერენდუმის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული გარემოება და არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის (ამ შემთხვევაში ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრების პირების) მოთხოვნით დაინიშნოს რეფერენდუმი, მითუმეტეს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით მოცემულ საკითხზე⁴ (კონსტიტუციით განსაზღვრულ ტერიტორიული მოწყობის საფუძვლებიდან გამომდინარე საქართველოს პრეზიდენტმა უარყოს მოთხოვნა). თუმცა, იმ შემთხვევაში თუ ზემოხსენებული სტატუსის მატარებელი პირი იქნება 200 000-ზე მეტი, არამგონია - რომ მოცემული გამოწვევად აღიქვას რომელიმე უფლებამოსილმა პირმა;
4. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დაარეგისტრირა "ერთობა, რაობა, იმედის" დამფუძნებლის, ლევან ვასაძის განცხადება "ნამახვანჰესის" მშენებლობის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებაზე. განკარგულება 17 ივნისით თარიღდება, სადაც აღნიშნულია, რომ "სარეფერენდუმო საკითხი არ არის მკაფიოდ და კონკრეტულად ჩამოყალიბებული, როგორც ამას საქართველოს ორგანული კანონი [მოითხოვს]... შესაბამისად, სარეფერენდუმო

⁴ საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა გადაისინჯება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

საკითხის დადებითად გადაწყვეტა გამოიწვევს, მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე, ჰიდრო-ელექტრო სადგურის მშენებლობის აუცილებლობას, რაც გამორიცხავს კონტრაქტის პირობების შეცვლის თუ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობას. ამდენად, რეფერენდუმი არ შეიძლება მოეწყოს კერძოსამართლებრივი ხასიათის სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებულ საკითხებზე”;

5. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების მფლობელ პირებს



შესაძლებლობა ეძლევათ იმოგზაურონ (რიგ ქვეყნებში) საზღვარგარეთ და ასევე ისარგებლონ საქართველოში არსებული სოციალური სერვისებით ისარგებლონ სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით და ა.შ. ამას გარდა, საგულისხმოა, რომ ნეიტრალურ დოკუმენტებთან მიმართებით საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირები მოქმედებენ იგივე პრინციპით, როგორც ეს საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებაში ხორციელდება (საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ზ ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის გათვალისწინებით). ამას გარდა თბილისის სააპელაციო სასამართლომ 22 თებერვალს ძალში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება⁵, რომ როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათების მიღებას, ოკუპირებულ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები ნეიტრალური პირადობის მოწმობის მქონე პირები იგივე უფლებებით

სარგებლობენ, როგორც საქართველოს მოქალაქეები.

6. საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ასევე შეიტანება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გადაცემული იმ ამომრჩეველთა შესახებ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც საქართველოს საკონსულო

⁵ <https://socialjustice.org.ge/ka/products/pretsedentuli-gadatsqvatileba-piradobis-neitraluri-motsmobis-mkone-pirebis-sotsialuri-datsvis-garantiebis-gafartoebis-sakitkhze>

აღრიცხვაზე დგანან. თავისთავად ხსენებულ მონაცემებს ასევე შეიძლება მოიცავდნენ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების მფლობელი პირებიც, ვინაიდან 23/04/202201-72 ბრძანებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მეორე პუნქტის და მეორე მუხლის ა ქვეპუნქტის შესაბამისად უზრუნველყოფენ პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების მფლობელი პირის (როგორც ამავე წესით განსაზღვრული ფიზიკური პირი საქართველოს მოქალაქეებთან და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებთან ერთად) საკონსულტო აღრიცხვასაც. რეფერენდუმის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, რეფერენდუმის მოსაწყობად გამოიყენება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მოთხოვნათა შესაბამისად შექმნილი ამომრჩეველთა ერთიანი სია.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს/ ხელისუფლების მიერ დემოკრატიულ პროცესებში ჩართვის შესაძლებლობის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირებისათვის განსაზღვრა - ვფიქრობ, რომ წინ გადადგული ნაბიჯი და პოზიტიური მესიჯის მატარებელი იქნება შერიგების და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელებისთვის, კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენისათვის და საბოლოო ჯამში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესისათვის. შესაბამისად,

- საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლში⁶ და
- რეფერენდუმის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტში

უნდა შევიდეს ცვლილებები, რომლის შესაბამისად რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან (ID ბარათის და საქართველოს მოქალაქის პასპორტის მფლობელ პირებთან ერთად) ერთად განესაზღვრებათ პირადობის ნეიტრალური მოწმობის/ ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების მფლობელ პირებსაც (ან აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს)

⁶ ნებისმიერი სამართლებრივი აქტი უნდა გამომდინარეობდეს ან შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ პრინციპებსა და დებულებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს აქტები არაკონსტიტუციურია, რაც მათი ბათილობის პირობაა. კონსტიტუციის უზენაესობის ქვეშ იგულისხმება მისი, როგორც ძირითადი კანონის, უმაღლესი იურიდიული ძალა იერარქიულად ქვემოთ მდგომი ყველა ნორმატიული აქტის მიმართ

- საკანონმდებლო წინადადებას თან ერთვის - საქართველოს პარლამენტის ბიუროს 24/03/2024 236/4 გადაწვეტილების ასლი, საინფორმაციო ბუკლეტის ასლი ნეიტრალური დოკუმენტების შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში N01/36927, 13.12.2023 ით დარეგისტრირებული განცხადების ასლი, MP 6165 3202/11/21 noM-ს შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში ელ. ფოსტით წარდგენილი განცხადების ასლი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, საქართველოს პარლამენტის 10536/2-7-1/23 19-12-2023 და 9874/2-7/23 11-12-2023 წერილების ასლები და ასევე, საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდიდან რეფერენდუმის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის დათვალიერებით შექმნილი ეკრანის ვიდეო ანაბეჭდი/ Recording (28/12/2023 მდგომარეობით).

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [REDACTED] მობ.: [REDACTED]
ელ. ფოსტა: [REDACTED] რეგისტრაციის
ადგილი: [REDACTED]

01/01/2024





საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№236/4

2023 წელი, 24 მარტი


საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის ბიუროს ადგენს:

დაევალოს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, განიხილოს საქართველოს მოქალაქე დავით მეზალიშვილის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით (N1-3977/23; 20.03.2023) და გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

შალვა პაპუნაშვილი

ყველაფერი ერთ სივრცეში



ნეიტრალური
დოკუმენტი



იუსტიციის
სახლი

რა არის ნეიტრალური დოკუმენტი?

ნეიტრალური დოკუმენტი არის ჰუმანიტარული ხასიათის საბუთი, რომელიც აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობას სოციალური სერვისების მიღებისა და საზღვარგარეთ თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს. იგი ნეიტრალურია მოქალაქეობის მიმართ და არ შეიცავს საქართველოს სახელმწიფოსთან ან მთავრობასთან დაკავშირებულ რაიმე სახის სიმბოლიკას.

ნეიტრალური დოკუმენტები ორი სახისაა:

- პირადობის ნეიტრალური მონმობა;
- ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი.

რა არის პირადობის ნეიტრალური მონმობა?

პირადობის ნეიტრალური მონმობა არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მფლობელს უფასო სოციალური მომსახურებების მიღებისა და შემდეგი უფლებების გამოყენების საშუალებას აძლევს:

- ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღება;
- უფასო/თანადაფინანსებული ჯანდაცვის მომსახურებით სარგებლობა;
- საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, სოციალური და სხვა პროექტების განხორციელებისათვის გრანტის მიღება;
- სხვა სოციალური შეღავათებით სარგებლობა.

პირადობის ნეიტრალური მონმობა შედგენილია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ენებზე და მისი აღება ნებაყოფლობითია.

რა არის ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი?

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი არის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც ზემოთაღნიშნული სარგებლის გარდა მფლობელს დამატებით საბღვარგარეთ თავისუფლად გამგზავრების საშუალებას აძლევს.

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი შედგენილია მხოლოდ ინგლისურ ენაზე და მისი აღება ნებაყოფლობითია.

ვის შეუძლია აიღოს ნეიტრალური დოკუმენტები?

პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის აღება შეუძლია ნებისმიერ პიროვნებას ან მის შთამომავალს, რომელიც 1992 წლის 31 დეკემბრის მომენტისათვის აფხაზეთის ან ცხინვალის რეგიონში ცხოვრობდა და რომელსაც არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა.

სად შეიძლება ავიღო ნეიტრალური დოკუმენტები?

ნეიტრალური დოკუმენტების აღება შესაძლებელია ნებისმიერ იუსტიციის სახლში.

ვის შეუძლია განაცხადის გაკეთება?

- დოკუმენტის აღების მსურველ პირს პირადად;
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის მქონე მესამე პირს;
- არასრულწლოვანი ან ქმედუნარო პირის შემთხვევაში - მის ერთ-ერთ მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს (16 წლამდე არასრულწლოვანზე ან ქმედუნარო პირზე ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემისათვის აუცილებელია ორივე მშობლის თანხმობა);
- ვებ-გვერდზე www.house.gov.ge ონლაინ რეჟიმში დოკუმენტის აღების მსურველ პირს.

წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

1. პირადობის დამადასტურებელი ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:

- ყოფილის სრკ-ს სიმბოლიკიანი პასპორტი;
- აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ტერიტორიაზე მოქმედი დე-ფაქტო ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ გაცემული დაბადების ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციის მიერ გაცემული ცნობა;
- 18 წლამდე პირებისთვის, ასევე 1992 წლის 31 დეკემბრის შემდგომ დაბადებული პირების შემთხვევაში - დაბადების მოწმობა ან პირადობის დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტი, მათი მშობლის/კანონიერი მეურვის ზემოთ მოყვანილ ნებისმიერ დოკუმენტთან ერთად;
- პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.

2. ერთი ფოტოსურათი ზომით 3,5x4,5 სმ (დაბეჭდილი და ელექტრონული ფორმით);

3. დოკუმენტის გაცემისთვის დაწესებული საფასურის ქვითარი.

იმ შემთხვევაში თუ პიროვნება უკვე ფლობს პირადობის ნეიტრალურ მოწმობას, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი გაიცემა მის საფუძველზე.

მომსახურების ღირებულება:

პირადობის ნეიტრალური მოწმობა - 10 ლარი;
ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი - 35 ლარი.

ფოტოსურათის გადაღება და მომსახურების საფასურის გადახდა შესაძლებელია ადგილზე, იუსტიციის სახლში.

დოკუმენტები გაიცემა განაცხადის შეტანიდან 10 სამუშაო დღეში.

რა ხანგრძლივობით გაიცემა აღნიშნული დოკუმენტები?

18 წელს ზემოთ პირებისათვის:


პირადობის ნეიტრალური მოწმობა- 5 წლის ვადით;
ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი - 10 წლის
ვადით;


ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი 18 წლამდე
პირებზე - 3 წლის ვადით;

ვადის ამოწურვის შემთხვევაში გაიცემა ახალი
პირადობის ნეიტრალური მოწმობა და ნეიტრალური
სამგზავრო დოკუმენტი.

ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელის შესახებ
ინფორმაცია დაცულია.

ნეიტრალური დოკუმენტების თაობაზე დამატებითი
ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი
www.house.gov.ge ან დაუკავშირდით იუსტიციის
სახლის ცხელ ხაზს ნომერზე:





2 405 405

www.house.gov.ge

info@house.gov.ge

www.facebook.com/publicservicehall

RE: საჯინფო ნეიტრალური

Info <info@justice.gov.ge>

Wed 12/13/2023 10:41 AM

To: niko nikoladze <[REDACTED]>

მოგესალმებით,

თქვენი განცხადება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მიღებულია რეგისტრაციაში ნომრით N01/36927, 13.12.2023.

პატივისცემით,

From: niko nikoladze [mailto:[REDACTED]]

Sent: Wednesday, December 13, 2023 1:46 PM

To: Info <[REDACTED]>

Subject: საჯინფო ნეიტრალური

რეგნომ

საქართველოს იუსტიციის
სამინისტროს საჯარო ინფორმაციის
გაცემის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელ პირს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ N

██████████, ელ. ფოსტა


██████████, მობ. ██████████

განცხადება

მოგმართავთ თხოვნით მომაწოდოთ საჯარო ინფორმაცია

1. პირადობის ნეიტრალური მოწმობის გაცემის და გაუქმების მონაცემები (წლების, შესაძლებლობიდან გამომდინარე სქესის და ასაკობრივი ჯგუფის გამიჯვნით)
2. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის და გაუქმების მონაცემები (წლების, შესაძლებლობიდან გამომდინარე სქესის და ასაკობრივი ჯგუფის გამიჯვნით)
3. შესაძლებელია თუ არა ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი გაიცეს პირადობის ნეიტრალური მოწმობის მიღების გარეშე
4. მოითხოვს თუ არა ხსენებული დოკუმენტები ბიომეტრული მონაცემების შეგროვებას
5. შესაძლებელია თუ არა ხსენებული დოკუმენტების მისაღებად დისტანციურად (მინდობილობით, ვებ გვერდის ან სხვა საშუალებით) უფლებამოსილი ორგანოსათვის მიმართვა.

14/12/2023



Fw: საჯინფო - ნეიტრალური

niko nikoladze <[REDACTED]>

Mon 12/11/2023 5:16 PM

To: press@smr.gov.ge <press@smr.gov.ge>; info@smr.gov.ge <info@smr.gov.ge>

📎 1 attachments (572 KB)

შერიგება.pdf;

გთხოვთ, მაცნობოთ რეგისტრაციის ნომერი

From: niko nikoladze <[REDACTED]>

Sent: Saturday, December 9, 2023 8:00 AM

To: press@smr.gov.ge <press@smr.gov.ge>

Subject: საჯინფო - ნეიტრალური

რეგნომ

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის კ/ N

██████████, ელ. ფოსტა
██████████

განცხადება

მიმდინარე წლის 1 მაისს დარეგისტრირებულ ჩემს განცხადებასთან და თქვენს 02/06/2023 943 წერილთან დაკავშირებით, გთხოვთ, დამატებით მომაწოდოთ საჯარო ინფორმაცია (პუნქტობრივად, პუნქტების დაცვით) შემდეგ კითხვებზე:

1. როგორც 02/06/2023 943 წერილში აღინიშნა, ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს, იგი 2012-2013 წლებში აღიარეს შემდეგმა სახელმწიფოებმა: აშშ, იაპონია, ისრაელი, ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი და უნგრეთი. აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ, მაცნობოთ მიდის თუ არა რომელიმე ქვეყანასთან კვლავ აქტიური მუშაობა ხსენებული დოკუმენტის აღიარებაზე, და თუ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ საიდუმლოს არ წარმოადგენს რომელთან?
2. რომელი უცხო სახელმწიფოს ანალოგიური დოკუმენტები იქნა შესწავლილი ზემოხსენებული დოკუმენტების შემუშავებისას ან შემდგომ პერიოდში?
3. იმ შემთხვევაში თუგინდ გაგაჩნიათ, თუგინდ არაოფიციალური ინფორმაცია ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტით საზღვარგარეთ გამგზავრების ფაქტის შესახებ გთხოვთ ასევე მაცნობოთ (2012-წლიდან დღემდე, ცალ-ცალკე მაჩვენებელი თითოეულ წელიწადს) - ასევე დანიშნულების ადგილი?
4. არის თუ არა გაფორმებული საქართველოს საერთაშორისო შეთანხმება, რომლითაც ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტის მფლობელ პირებს უმარტივდებათ საზღვარგარეთ გადაადგილება, სავიზო რეჟიმი ან ყოფნის პირობები, დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, თუ თუ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ საიდუმლოს არ წარმოადგენს, შეთანხმების სახელწოდება?
5. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რა უფლებებით და პრივილეგიებით სარგებლობს ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტის მფლობელ პირი?

09/12/2023





შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

OFFICE OF THE STATE MINISTER OF GEORGIA
FOR RECONCILIATION AND CIVIC EQUALITY

N 943
02/06/2023

943-1-2-202306021431



მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს

მცხ.: [REDACTED]

ტელ.: [REDACTED]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი მიმდინარე წლის 1 მაისის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულების განახლების პროცესი, რის შედეგადაც დებულების ცალკეული მუხლები, მათ შორის აპარატის უფლებამოსილების ნაწილში ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით.

რაც შეეხება ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს, იგი 2012-2013 წლებში აღიარეს შემდეგმა სახელმწიფოებმა: აშშ, იაპონია, ისრაელი, ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი და უნგრეთი.

პატივისცემით,

ზვიად ზვიადაძე



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

აფხაზეთის ა/რ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის საკითხთა დეპარტამენტი

საჯარო ინფო

[Redacted]

Sat 4/29/2023 11:47 PM

[Redacted]

📎 1 attachments (87 KB)

შერიგების სამინისტროდან საჯარო ინფო-signed.pdf;

გთხოვთამ მაცნობოთ რეგისტრაციის ნომერი

შერიგებისა და სამოქალაქო
თანასწორობის საკითხებში
სახელმწიფო მინისტრის აპარატის
საჯარო ინფორმაციის გაცემის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/N
(██████████ მ.რ.ნ.: ██████████).
██████████ ტელ.: ██████████

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გავეცანი რა თქვენს ვებ გვერდს, მასში მოცემულია აპარატის უფლებამოსილების ფარგლები, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს შემდეგი:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა და ლტოლვილთა და მათ შთამომავალთა უსაფრთხო, უპირობო და ღირსეული დაბრუნების, უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმების შემუშავება;

გთხოვთ, საჯარო ინფორმაციის სახით მომაწოდოთ მომაწოდოთ პასუხები შემდეგ კითხვებზე.

- უსაფრთხო, უპირობო და ღირსეული დაბრუნების, უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები (მოკლე ანოტაცია), რომელიც შემუშავდა 2008 წლიდან დღემდე (მექანიზმების შემუშავების პერიოდი მიეთითოს). მოცემულ კითხვაში არ იგულისხმება არ მოიცავს დიპლომატიურ ინსტრუმენტებს და მეტწილად საერთაშორისო/სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის შედეგად, რომ დგება შედეგები;
- არის თუ არა გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი პირებისათვის;
- ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის და ნეიტრალური პირადობის მოწმობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, რომელთაც ხსენებული სამგზავრო დოკუმენტი აღიარეს (აღიარების თარიღის მითითებით).

გთხოვთ, საპასუხო ინფორმაცია მომაწოდოთ ელ. ფოსტაზე
██████████





10536/2-7-1/23 2 19122023



10536/2-7-1/23

19-12-2023

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს
კ/ნ [REDACTED]

(მისამართი: [REDACTED])
ელექტრონული ფოსტის მისამართი: [REDACTED]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი №1-15643/23 წერილების თანახმად, გიგზავნით თქვენ მიერ მოთხოვნილ განახლებულ მონაცემებს, რომელიც ეხება საქართველოს X მოწვევის პარლამენტში თქვენ მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებების ნუსხას მათი განხილვის ეტაპისა და საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნების შესაბამისი ბმულების მითითებით:

1. „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-6862/22, 03.06.2022), რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს. კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
<https://parliament.ge/legislation/24265>.
2. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-7149/22, 09.06.2022), რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
<https://parliament.ge/legislation/24310>.
3. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-9268/22, 22.07.2022), რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
<https://parliament.ge/legislation/24484>.
4. „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-9305/22, 25.07.2022), რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს. კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
<https://parliament.ge/legislation/24486>.
5. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-9945/22, 08.08.2022), რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
<https://parliament.ge/legislation/24521>.
6. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-10075/22, 10.08.2022), რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს. კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:

<https://parliament.ge/legislation/24540>.

7. „საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-10260/22, 15.08.2022), რომელიც თქვენ 2022 წლის 29 აგვისტოს №1-10781/22 წერილის საფუძველზე გამოითხოვეთ საკომიტეტო განხილვამდე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
<https://parliament.ge/legislation/24541>.
8. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-11145/22, 07.09.2022), რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს. კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
<https://parliament.ge/legislation/24602>.
9. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-11366/22, 12.09.2022), რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს. კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
<https://parliament.ge/legislation/24631>.
10. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-12039/22, 21.09.2022), რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტს. კომიტეტმა 2022 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
<https://parliament.ge/legislation/24681>.
11. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-12646/22, 04.10.2022), რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს. კომიტეტმა 2022 წლის 7 ნოემბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
<https://parliament.ge/legislation/24764>.
12. „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-12897/22, 07.10.2022), რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
<https://parliament.ge/legislation/24793>.
13. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-13016/22, 10.10.2022), რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს. კომიტეტმა განიხილა 2023 წლის 17 თებერვლის სხდომაზე და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
<https://parliament.ge/legislation/24811>.
14. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ და „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონების პროექტებთან დაკავშირებით (№1-13165/22, 12.10.2022), რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს. კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
<https://parliament.ge/legislation/24842>.
15. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-13103/22,

12.10.2022), რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს. იხილეთ შემდეგ ბმულზე:

<https://parliament.ge/legislation/24836>.

